



325/3-81/22
17-01-2022

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია

1. დღეისათვის თქვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნელთა) რამდენი ოჯახი ელოდება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას?
2. რა ვადაში და რა სახსრებით გეგმავს სამინისტრო დევნილთა საცხოვრებელი ბინებით სრულად უზრუნველყოფას და საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემამდე, რა შუალედური გეგმა/სტრატეგია აქვს სამინისტროს დევნილებისათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად?
3. ბოლო 10 წლის განმავლობაში დევნილთა რამდენ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში? რა თანხა დაიხარჯა აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რა ფინანსური დახმარება გაიღეს საერთაშორისო დონორებმა? (გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ცალ-ცალკე, თითოეულ წელიწადთან მიმართებით)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY



KA030699009688222

საქართველო, თბილისი 0186, მ. თამარაშვილის ქ.15 ა; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505;
15a M.Tamarashvili st., 0186, Tbilisi, Georgia; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 03/3438

16 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო თქვენი 17.01.2022 წლის N325/3-81/22 წერილის პასუხად, წარმოდგენილი პუნქტების შესაბამისად გაცნობებთ, რომ:

- 31.01.2022 წლის მდგომარეობით, იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ელექტრონული ბაზის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას საჭიროებს 45903 დევნილი ოჯახი;
- ამ ეტაპზე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, მოგანოდოთ ზუსტი ინფორმაცია დევნილთა საცხოვრებელი ბინებით სრულად უზრუნველყოფის შესახებ.
- სააგენტო, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში ახორციელებს იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიან განსახლებას. 2024 წლის ჩათვლით, დაგეგმილია 13000 დევნილი ოჯახის უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში, საკუთრებაში დარეგისტრირებულ საცხოვრებელ ფართებთან და დევნილთა განსახლების პროექტების ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯულ თანხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გეგმავნებათ დანართის სახით (Excel-ის ფაილი).

ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტის „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC), გამოიყო 10 000 000 (ათი მილიონი) ევრო, დევნილი ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი სახლების, კოლექტიური ჩასახლების ობიექტებში საბავშვო ბაღებისა და სათემო ცენტრების მშენებლობისათვის, დევნილი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2020 წელს და გრძელდება.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემენტარულად



ჯაბა სირბილაძე

დევილოთათვის გადაცემული და დაკანონებული ბინების რაოდენობა

წლები	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	ჯამი
დაკანონებული ბინების რაოდენობა	949	1941	6040	2771	2306	2240	1862	2194	2859	23162

#	დასახელება	გადარიცხული თანხა								
		(2013 წელი)	(2014 წელი)	(2015 წელი)	(2016 წელი)	(2017 წელი)	(2018 წელი)	(2019 წელი)	(2020 წელი)	(2021 წელი)
1	სს "Hualing international special economic zone"		16,160,790.83	3,797,370.35	11,200,819.19	13,337,169.54				
2	მენაშენებისაგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვა			22,429,234.34	12,387,773.29	23,002,784.97	83,596,829.94	37,908,176.07	47,360,979.05	6,721,339.07
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა			5,424,081.06	18,128,155.72	28,021,742.41	6,916,446.35			
4	სახვრებელი სახლების რეაბილიტაცია	17,351,494.15	4,597,463.70	2,743,087.72	5,081,345.01	224,465.95	1,841,583.65			
5	სახლების შესყიდვა (სოფლად სახლი)		5,795,373.95	8,726,318.00	18,623,631.83	13,638,465.08	17,783,652.08	22,489,813.00	18,057,161.00	33,118,825.10
6	იპოთეკური სესხის დაფარვა			900,829.00	857,567.28	3,199,201.53	2,281,464.14			
		17,351,494.15	26,553,628.48	44,020,920.47	66,279,292.32	81,423,829.48	112,419,976.16	60,397,989.07	65,418,140.05	39,840,164.17